ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტს ეწვია

2021 წლის 20 სექტემბერს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის რექტორი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საღვთისმეტყველო ასოციაციის პრეზიდენტი, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტს „მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტს (სკუ „მეი“,НИУ„МЭИ“) ეწვია – რუსეთში ენერგეტიკის, ელექტროტექნიკის, ელექტრონიკისა და ინფორმატიკის სფეროში ერთ-ერთ უდიდეს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სოციალურ-კულტურული ცხოვრების გასაცნობად, სკუ „მეი“-ს რექტორმა პროფესორმა ნ. როგალიოვმა უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მიტროპოლიტ ილარიონისთვის ექსკურსია მოაწყო.

შემდეგ მიტროპოლიტმა ილარიონმა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში პროფესორ-მასწავლებელთა კორპორაციისა და სტუდენტების წინაშე ღია ლექცია ჩაატარა თემაზე „დოსტოევსკი და სახარება“, რომელიც მწერლის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. „ყველა მისი ნაშრომი, რომელიც კატორღის შემდგომ არის დაწერილი, გაჯერებულია ახალი აღთქმის ციტატებით, ალუზიებით წმინდა წერილის ტექსტებზე. მრავალი სახარებისეული სურათი უდევს საფუძვლად მის ფილოსოფიურ შეხედულებებს, ქრისტეს მრავალი ნათქვამი ხდება ამოსავალი წერტილი მისი რომანების გმირების მსჯელობაში. დოსტოევსკის გაგება შეუძლებელია იმ განსაკუთრებული როლის გააზრების გარეშე, რაც სახარებამ შეასრულა მის შემოქმედებასა და ცხოვრებაში“, – აღნიშნა მწყემსთმთავარმა.

ლექციის ჩანაწერი ხელმისაწვდომია YouTube-არხზე ბმულზე **https://youtu.be/4LERgSgcOAM**.

ლექციის ბოლოს მიტროპოლიტმა ილარიონმა მასწავლებლებისა და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

სკუ „მეი“-ს ბიბლიოთეკას მეუფემ საჩუქრად მისი წიგნი „იესო ქრისტე: ცხოვრება და სწავლება“ ექვს ტომად და ასევე წიგნი „დოსტოევსკის სახარება“ გადასცა.

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის კომუნიკაცია ნ. დ. როგალიოვთან და უნივერსიტეტის პრორექტორებთან ჩაისთან გაგრძელდა.

სკუ „მეი“-ში თავისი ვიზიტის დასასრულს, იერარქი უნივერსიტეტის რექტორის თანხლებით ა. ა. ხარლამპიევის სახელობის სამბოს განვითარების ინსტიტუტს ეწვია.

თეოლოგიის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაციიდან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ასოციაციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის პრორექტორმა სამეცნიერო დარგში პროფესორმა დ. ვ. შმონინმა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88077/